ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება
რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ

13 იანვარი 1919 წ, ქალ. ტფილისი.

№ 11

სხვა და სხვა პირების და დაწესებულებების საველე სატელეფონო სადგურებით სარგებლობის საკითხის გამოსარკვევად და იმისიც თუ რამდენად საჭიროა მათთვის ეს ტელეფონები და აგრეთვე საველე სატელეფონო ქსელის გენერალური შტაბის განყოფილების გამგეობაში გადაცემის შესახებ ვნიშნავ კომისიას ტეხნიკური ათასეულის უფროსის პოლკოვნიკ ქოჩლაძის თავჯდომარეობით და საპიორთა ათასეულის კაპიტან ებანოიძის, შტაბს-კაპიტან ჯიჯავაძის და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ორი წარმომადგენელის წევრობით, თავისი დასკვნა კომისიამ წარუდგინოს გენერალურ შტაბის უფროსს.

„22“ იანვრისთვის 1919 წ.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე**.